

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

შორეული აღმოსავლეთის მიმართულების VIII საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია: „შორეული აღმოსავლეთი - წარსული, აწმყო და სამომავლო
პერსპექტივები“

**პ რ ო გ რ ა მ ა და
თ ე ზ ი ს ე ბ ი**



17-18 ოქტომბერი
თბილისი 2024

კონფერენციის პროგრამა

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

კონფერენციის გახსნა

10:30 კონფერენციის გახსნა

დარეჯან თვალთვაძე-თსუ პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ნანა გელაშვილი- თსუ პროფესორი , შორეული აღმოსვლეთის მიმართულების
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

მისალმებები

რეგლამენტი

მოხსენება- 12 წუთი

დისკუსია - 5 წუთი

11:00-13:30

პლენარული სხდომა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

17 ოქტომბერი

პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ნანა გელაშვილი

თათია მემარნიშვილი

თსუ იაპონური ენის მოწვეული ლექტორი

თაიშოს ეპოქის შემდგომი კულტურული და სოციალური ცვლილებები ჯუნიჩირო ტანიძაკის
რომანის „ნაზი თოვა“ მიხედვით

რუსუდან ნიშნიანიძე

თსუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქართველი საბჭოთა პოეტის თვალთ დანახული 50-იანი წლების ჩინეთი

ნანა გელაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ვესტერნიზაცია და ტრადიციონალიზმი იაპონურ კულტურაში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)

ჯინიონ (ანნა) სეო (სამხრეთ კორეა)

პეკინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი

ჭანგ სინგიაოს შედარებითი ანალიზი ქრისტიანობასა და კონფუციზმის შესახებ

ჰიროტაკე მადეა (იაპონია)

ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტის პროფესორი

ისტორიული ურთიერთობების შესახებ იაპონიას, საქართველოსა და ისრაელს შორის: კიჩირო ჰიგუჩი და საქართველო

შესვენება -14:00-14:30

პლენარული სხდომა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

სხდომის თავმჯდომარე - თათია მემარნიშვილი

თეონა გელაშვილი

თსუ ჩინური ენის მოწვეული ლექტორი

ისტორიის გავლენა თანამედროვე ცხოვრებაზე, ჭაო ტეფას რომანის „მთებისა და ზღვების გავლით“ მიხედვით

სოფიო გუგუნავა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი

სამხრეთ კორეის რბილი ძალის ზრდა და მისი გეოპოლიტიკური შედეგები

მარია მშვილდაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ანტიკური წყაროები რომის იმპერიასა და ინდოეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ

რიოსეი სუგინაკა (იაპონია)

თსუ იაპონური ენის მოწვეული ლექტორი

საქართველოში სტუდენტების მოლოდინები იაპონური ენის შესწავლის მიმართ - საპილოტე BALLI კვლევა თბილისის სამ უნივერსიტეტში

დავით ანდღულაძე

თსუ-ს დოქტორანტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩინური ენის ლექტორი

ცენტრალური აზია ჩინეთსა და რუსეთს შორის

18 ოქტომბერი

თსუ V კორპუსი, აუდიტორია #127

11:00-14:00

სხდომის თავმჯდომარე - სოფიო გუგუნავა

ანა მახარაძე

თსუ-ს დოქტორანტი, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის
ლექტორი

ჩინეთის სოციალური საკითხები აი ვეი ვეის შემოქმედებაში

მარინა ჯიბლაძე

ჩინური ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

ჩინური ენის სწავლების საკვანძო საკითხები

ჯაბა მესხიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიაში ატომური ბომბის სამიზნეების შერჩევა

ელენე მეძმარიაშვილი

თსუ პროფესორი, ამერიკის მცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის დირექტორი

**თაივანის საკითხი აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის
დასაწყისში**

მარინე ლუდუშაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი

მონღოლთა იმპერია და დიდი აზრეშუმის გზა

იზოლდა ბელთაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია

შალვა ჩიხლაძე

თსუ მოწვეული ლექტორი

მსოფლიო წესრიგის რეკონცეპტუალიზაცია: ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კრიტიკული ანალიზი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of Oriental Studies

The VIII International Scientific Conference „Far East: Past, Present and Future Perspectives”

Tbilisi, 2024

P R O G R A M

October 17-18

TSU Building I, Room #202

Thursday, October 17

10:30 - Opening

Darejan Tvaltvadze – TSU Professor, Dean of Faculty of Humanities

Nana Gelashvili – TSU Professor, Head of Direction of Far East Studies

Greetings

Time Limit for:

Presentation- 12 minutes

Discussion – 5 minutes

11:00 – 13:30

Plenary Meeting

TSU Building I, Room #202

Chair –Nana Gelashvili

Tatia Memarnishvili

Japanese Language Lecturer, TSU

Cultural and Social Transition after Taisho Era according to Jun'ichiro Tanizaki's Novel "The Makioka Sisters"

Rusudan Nishnianidze

Doctor of Philology, TSU Associate Professor

China of the 50ies seen through the eyes of a Georgian Soviet poet

Nana Gelashvili

Doctor of Historical Sciences, TSU Professor

Westernization and Traditionalism in Japanese Culture (second half of the 19th century)

Jinyoung (Anna) Seo (South Korea)

PhD in Philosophy, Lecturer at the Seed of Hope Language Center

Zhang Xingyao's Comparative Study of Christianity and Confucianism

Hirotake Maeda (Japan)

Tokyo Metropolitan University Professor

On the Historical Relationship between Japan, Georgia and Israel: Higuchi Kiichiro and Georgia

Break 13:30-14:00

Plenary Meeting

TSU Building I, Room #202

Chair –Tatia Memarnishvili

Teona Gelashvili

Chinese Language Lecturer, TSU

The Influence of History on Modern Life, according to Zhao Defa Novel “Through Mountains and Seas”

Sopio Gugunava

PhD in Social Sciences, TSU Lecturer

The Growth of South Korean Soft Power and Its Geopolitical Implications

Marika Mshvildadze

Doctor of Historical Sciences, TSU Associate Professor

Ancient Sources about Existing Relationships between the Roman Empire and India

Ryosei Suginaka (Japan)

Japanese Language Visiting Lecturer, TSU

Learners’ Beliefs about Japanese Language Education in Georgia, Pilot BALLI Research of Three Universities in Tbilisi

David Andguladze

Chinese Language Lecturer at Batumi State University, TSU PhD student

Central Asia between China and Russia

October 18

TSU Building V, Room #127

11:00-14:00

Chair – Sopio Gugunava

Anna Makharadze

PhD student at TSU, Lecturer at GIU

Social Themes in Ai Wei Wei's Work

Marina Jibladze

Doctor of Chinese Philology, Professor at Free University

Key Issues in Chinese Language Teaching

Jaba Meskhishvili

PhD in History, Associate Professor at Ilia State University

Selection of Atomic Bomb Targets in Japan during World War II

Elene Medzmariashvili

Professor at TSU, Head of the Institute of American Studies

Taiwan Issue in US-China Relations at the End of 20th and at the Beginning of 21st Centuries

Marine Gudushauri

Academic Doctor of Economics, TSU Lecturer

The Mongol Empire and the Great Silk Road

Izolda Beltadze

PhD in Historical sciences, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

French East India Company

Shalva Chikhladze

TSU Visiting Lecturer

Reconceptualizing Global Order: A Critical Analysis of Chinese International Relations Theories

თ ე ზ ი ს ე ბ ი

დავით ანდლულაძე

ცენტრალური აზია ჩინეთსა და რუსეთს შორის

პოსტსაბჭოთა სივრცეში ცენტრალური აზიის რეგიონი, ბელარუსთან ერთად, ტრადიციულად, რუსეთის ყველაზე ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა. რეგიონის ქვეყნებსა და რუსეთს შორის საკმაოდ მყარი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების არსებობა სტაბილურ პარტნიორულ ურთიერთობებს განაპირობებდა. ისტორიულადაც, ბოლო საუკუნეების განმავლობაში, ცენტრალური აზია რუსეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. თუმცა, თანამედროვე რეალობა ძლიერ განსხვავდება მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების რეალობისაგან. კერძოდ, თანამედროვე ჩინეთი არის არამხოლოდ რეგიონის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი აქტორი, ის აღარ არის ნახევრადკოლონიური ქვეყანა და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია საკუთარი დღის წესრიგი, ინტერესები, გავლენის სფეროები და ა.შ.

ერთის მხრივ, ოფიციალური რიტორიკის მიხედვით, დღეს რუსეთსა და ჩინეთს შორის ჩამოყალიბებულია არამხოლოდ პარტნიორული, არამედ მეგობრული ურთიერთობი. ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა უპრეცედენტო ნიშნულებს აღწევს, ქვეყნებს შორის აღარ არსებობს ტერტორიული დავები, საგარეო-პოლიტიკური კურსიც თითქოს ერთიანია - დასავლეთთან ანტაგონიზმი.

მეორეს მხრივ, ჩინეთი არ წყვეტს ეკონომიკურ ურთიერთობებს აშშ-სა და ევროკავშირთან, ითვალისწინებს სანქციებს, ზღუდავს რუსულ კაპიტალს საკუთარ საბანკო სივრცეში და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული უთანხმოება გავლენის სფეროებთან დაკავშირებით - სი ძინფინგის „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტიწინააღმდეგობაშია რუსეთის მიერ ინიცირებულ საბაჟო კავშირთან, ჩინეთი ცდილობს ენერგორესურსების ბაზრის დივერსიფიცირებას, რაც გულისხმობს მისი კაპიტალის შეღწევას ცენტრალური აზიის რეგიონში, სადაც ამ სფეროში მონოპოლია ყოველთვის რუსეთს ეკუთვნოდა და ა.შ.

ომი უკრაინაში და დასავლური სანქციები რუსეთს აიძულებს ჩინეთთან დაახლოებას და მასზე ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდის, რაც, სხვათა შორის, გულისხმობს ისეთ დათმობებზე წასვლას, რომელიც სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა. ცენტრალური აზიის რეგიონში ჩინეთის გამოჩენა, ცხადია, ასუსტებს რუსულ გავლენას, და ეკონომიკურთან ერთად, სერიოზულ პოლიტიკურ ზიანს აყენებს კრემლს.

იზოლდა ბელთაძე

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია

ჩვენ მიზანად დავისახეთ შეგვესწავლა თუ როგორ შეიქმნა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია, რამდენი იყო მისი საწყისი კაპიტალი, რომელ მიწებზე ვაჭრობდნენ, რა საქონელი შემოჰქონდათ, როგორი იყო კომპანიის შემადგენლობა და მმართველობა, რით განსხვავდებოდა ის სხვა საპაიო კომპანიებისაგან, რა უპირატესობა გააჩნდა მას, როგორი იყო სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება კომპანიისადმი, როგორ დასრულდა მისი საქმიანობა, რამ შუშალა ხელი მის შემდგომ წარმატებას აღმოსავლეთში, როგორ განისაზღვრებოდა კომპანიის წევრთა უფლებები, როგორ ხდებოდა დირექტორთა საბჭოს არჩევნები, რომელ ქალაქებში ჰქონდათ ოფისები და რა როლი შეასრულა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

როგორც ირკვევა, საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია (1664-1795 წწ) განსხვავდებოდა სხვა: ბრიტანული, ჰოლანდიური, დანიური ოსტ-ინდოეთის კომპანიებისაგან, თავისი მატერიალური მდგომარეობით. ის იყო ყველაზე მდიდარი კომპანია. სწორედ მის ფინანსურ უპირატესობას განაპირობებდა პირველ რიგში სამეფო ხელისუფლების უდიდესი მხარდაჭერა. როგორც ჩანს, საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715 წწ) იყო ოსტ-ინდოეთის კომპანიის მეწილე, ამიტომ მისი მოგებით უთუოდ იქნებოდა დაინტერესებული, რისთვისაც იგი სრულ მატერიალურ და იურიდიულ მხარდაჭერას უცხადებდა კომპანიის ვაჭრებს. მზად იყო მათ დასაცავად აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით თავისი ხარჯით სამხედრო გემებიც კი გაეზავნა. უფრო მეტიც, კომპანიაში ვაჭრების გარდა აქციები ჰქონდათ ჩადებული: დედოფალს, კანცლერს, თავადაზნაურობას, მერებს, მდიდარ ქალაქელებს. მეფე ხშირად ეხმარებოდა გაკოტრებულ აქციონერებს. საჭიროების შემთხვევაში ის აზანდებდა კომპანიაში კაპიტალს. ეს მოხდა რამოდენიმეჯერ. როგორც ირკვევა, მას 5 წლის მანძილზე სულ 7 მლნ ლივრი ჰქონია კომპანიაში შეტანილი და არანაირი მოგება არ მიუღია, მაგრამ მიუხედავად ამისა რისკზე მიდიოდა და უფრო მეტიც გაკოტრების პირას მისულ კომპანიას უწევდა ფინანსურ დახმარებას.

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მეშვეობით აღმოსავლეთიდან მოედინებოდა დიდძალი: ოქრო, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, მარჯანი, ძვირფასი ქსოვილები, სხვადასხვა სანელებლები, აბრეშუმის და ბამბის ნედლეული და ა.შ., რომელიც დიდძალ მოგებას ტოვებდა. ამიტომაც მოგების მიღების სურვილი წინა პლანზე იდგა, მაგრამ კომპანიამ თავისი მონოპოლია აღმოსავლეთში ვერ შეინარჩუნა, პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისი კონკურენციას უწევდა, გარდა ამისა აქციონერები არ იყვნენ ერთიანი, კოლონიებში ვერ უზრუნველყოფდნენ ერთიან მმართველობას, კომპანიაში უმეტესობას არ წარმოადგენდა მსხვილი ვაჭრები, ვერ ახერხებდნენ ფლოტის შენახვას, რის შედეგადაც კომპანია 1795 წელს დაიშალა.

საბოლოოდ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებასა და აღმოსავლეთის კოლონიურ ექსპანსიაში.

ნანა გელაშვილი

ვესტერნიზაცია და ტრადიციონალიზმი იაპონურ კულტურაში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონური კულტურის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ჭრილში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1854 წელს აშშ-ს მიერ იაპონიის გახსნა ხანგრძლივი თვითიზოლაციის შემდეგ, ორხელისუფლებიანობის (შიოგუნდი და იმპერატორი) დასასრული და იმპერატორის ერთპიროვნული მმართველობის აღდგენა, სამოქალაქო ომი, 1867/1868 წლების რეფორმები, პირველი კონსტიტუციის მიღება, პარლამენტის დაფუძნება და სხვ. იაპონიის მთავრობა ნათლად აცნობიერებდა, რომ ქვეყნის ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად და მის მაღალგანვითარებული სახელმწიფოდ გადასაქცევად, რეფორმების პარალელურად, აუცილებელი იყო თავად იაპონური საზოგადოების ტრანსფორმაცია. საამისოდ ეტალონად აღიარებულ იქნა დასავლური სამყარო.

აქედან გამომდინარე, 1868 წლიდან მთავრობა მიზანმიმართულად შეუდგა დასავლური კულტურის, სამეცნიერო დარგების, ტექნიკური საშუალებების, განათლების სისტემის იაპონიაში დანერგვას, ადგილობრივი იაპონური ფასეულობები კი მოძველებულად და გამოუსადეგარად იქნა გამოცხადებული. მთავრობის ახლებური კურსის შესაბამისად, დასავლური გავლენა აისახებოდა იაპონური კულტურის თითქმის ყველა დარგზე: მუსიკაზე, თეატრზე, სახვით და დეკორატიულ ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე. ამასთანავე ინტენსიურად მიმდინარეობდა ევროპული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თარგმნა იაპონურ ენაზე, უცხო ენების შესწავლა, იხსნებოდა დასავლური ტიპის სკოლები და ა.შ. ინოვაციები გაჩნდა იაპონელთა გარეგნულ იერ-სახეშიც: კერძოდ, მოდაში შემოვიდა ევროპული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ვარცხნილობა, სხვადასხვა გასართობი საშუალებები და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ვითარება იაპონიაში რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, თანდათან დაიწყო მთავრობის პოლიტიკური კურსის შემობრუნება ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისაკენ.

ვესტერნიზაციის დანერგვას იაპონელი საზოგადოება უკვე ღიად ეწინააღმდეგებოდა, რამდენადაც ცალსახად ნათლად გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში მძლავრ ნაკადად შემოჭრილი დასავლური ინსტიტუციები, იდეები და კულტურის სხვადასხვა ელემენტები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ეროვნულ ფასეულობებს. არსებული ვითარების ადეკვატურად გააზრებამ იაპონელებში პროტესტის გრძნობა გააღვივა, რადგანაც მათთვის სრულიად მიუღებელი იყო დასავლური ყაიდის ინტელექტუალური და კულტურული სტანდარტები.

თეონა გელაშვილი

ისტორიის გავლენა თანამედროვე ცხოვრებაზე, ჭაო ტეფას რომანის „მთებისა და ზღვების გავლით“ მიხედვით

ჭაო ტეფას რომანში „მთებისა და ზღვების გავლით“ მთავარი პერსონაჟი ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და ცდილობს მკითხველს ისტორიის ახლებური ხედვა დაგვანახოს, კერძოდ ისტორიის წრფივი, ხაზოვანი ხედვა, რომელიც ისტორიას აღიქვამს პროგრესულსა და წინსვლაზე ორიენტირებულს და არა ციკლურსა და განმეორებადს. ავტორიც ბოლოსიტყვაობაში წერს რომ ეს ნოველა ისტორიითაა შთაგონებული და სჯერა, რომ მიუხედავად პროფესიისა, ადამიანს ისტორიის აღქმა და შეგრძნება უნდა ჰქონდეს. ისტორიის განცდის გარეშე შეუძლებელია ღრმად ჩასწვდე და გაიგო დღევანდელი ეპოქა და ცხოვრება. ამიტომ, მთავარი პერსონაჟი ჩვეულებრივად იყენებს ისტორიულ პერსპექტივასა და ყველაფერს ისტორიის კონტექსტში განიხილავს.

ნოველაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია წიგნი, სახელწოდებით „ისტორიაში დღეს“, სადაც ნაწარმოების ყოველი თავის წინ მოცემულია მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ნაკრები და რომელსაც მოსდევს მთავარი პერსონაჟისა და მისი ქალიშვილის პერსონალური ჩანაწერებიც.

აქ საყურადღებო ისაა რომ, ინდივიდუალურმა მოვლენებმაც შესაძლოა ისტორიული ხედვა და აღქმა შეცვალოს დროთა განმავლობაში.

ჩემს ნაშრომში წიგნზე და მთავარ პერსონაჟზე დაყრდნობით შევეცდები გავანალოზო ისტორიის წრფივი და ხაზობრივი ხედვა და დაგვანახოთ რა გავლენა აქვს ისტორიას ჩვენს ცხოვრებასა და თანამედროვეობაზე. აღნიშნული მიდგომა საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელია თანამედროვე ადამიანისათვის.

სოფიო გუგუნავა

სამხრეთ კორეის რბილი ძალის ზრდა და მისი გეოპოლიტიკური შედეგები

ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ კორეის კულტურამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოიპოვა პოპულარობა. 1990-იანი წლებიდან, სამხრეთ კორეის მთავრობის ხელმძღვანელობით მიღებული კულტურული და პოლიტიკური გეზი შეიცვალა და იგი ეკონომიკურ სტრატეგიაზე ფოკუსირებიდან გადავიდა ეროვნულ ბრენდინგზე და რბილი ძალის ატიურ გამოყენებაზე, რამაც დადებითი გავლენა იქონია კულტურული ინდუსტრიის შიდა ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე და ხელი შეუწყო სამხრეთ კორეის პოპულარიზაციას მის საზღვრებს გარეთ. არსებობს სამი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სამხრეთ კორეის რბილი ძალის განვითარებას :

- 1- წარმატებული ისტორია ეკონომიკურ განვითარებასთან და დემოკრატიზაციას;
- 2- შემოქმედებითი შინაარსის განვითარება, რამაც გამოიწვია გლობალური კონკურენტუნარიანობა შეზღუდული შიდა ბაზრის გამო;
- 3- ციფრული განვითარება. განსაკუთრებით კი ცვლილებები მედია გარემოში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით კორეულმა კულტურამ, პოპ-კულტურიდან დაწყებული ქვეყნის სამზარეულოს ჩათვლით დიდ პოპულარობას მიაღწია. ასეთი წარმატების მიზეზად იმ ტალღისებურ ეფექტს ასახელებენ , რომელიც სამხრეთ კორეის თავრობამ რბილი ძალის პოლიტიკის მეშვეობით გაატარა, მას „ჰალიუს“ უწოდებენ , რაც კორეულად ტალღას ნიშნავს. ჰალიუს ფენომენი არა მხოლოდ სამხრეთ კორეის ეკონომიკურ სარგებელზე ისახება, არამედ აძლიერებს ქვეყნის იმიჯს საზღვარგარეთაც. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით კორეული ტალღის წარმატებას და სამხრეთ კორეის კულტურული ინდუსტრიების სწრაფ ზრდას მთავრობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უკავშირებს, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოდან გააქტიურდა. სამხრეთ კორეის მთავრობამ შეიმუშვა სხვადასხვა კულტურული პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური სტრატეგიის მექანიზმი, რომელიც მოგვიანებით საჯარო პოლიტიკის ბერკეტად იქცა. მიუხედავად წინსვლისა და იმ წარმატებისა რაც სამხრეთ კორეამ მოიპოვა მსოფლიო ასპარეზზე იგი მაინც შეზღუდული რჩება რბილი ძალის წარმატებით გამოყენებაში, რაც გამოწვეულია რეგიონში სამეზობლოს მხრიდან მზარდი კონკურენციით.

ანა მახარაძე

ჩინეთის სოციალური საკითხები აი ვეი ვეის შემოქმედებაში

თანამედროვე ჩინელი მხატვარი აი ვეი ვეი არის დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა, რომლის ნამუშევრებიც თამამად ეხება სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხს ჩინეთში. მოცემული მოხსენების ფარგლებში განხილული იქნება აი ვეი ვეის რამდენიმე გამორჩეული ნამუშევარი, რომელიც ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ იყენებს ის ხელოვნებას, როგორც მძლავრ საშუალებას ჩინეთის საზოგადოების მწვავე სოციალური პრობლემების ხაზგასასმელად.

თემა შეეხება აი ვეი ვეის სოციალური აქტივიზმის ანალიზის, განიხილავს იმ გზებს, რომლითაც მისი ხელოვნება მოუწოდებს საზოგადოებას უფრო მეტ ცნობიერებისა და ცვლილებებისაკენ. ცენზურიდან და პოლიტიკური რეპრესიებიდან დაწყებული ადამიანის უფლებების დარღვევით და გარემოსდაცვითი პრობლემებით დამთავრებული, აი ვეი ვეის შემოქმედება ასახავს და იწვევს დისკუსიებს ამ საკითხებზე.

მოხსენება მიზნად ისახავს ახსნას, თუ როგორ მოქმედებს აი ვეი ვეის ხელოვნება ჩინელ საზოგადოებაზე, როგორ იწვევს აუდიტორიას დაუპირისპირდეს და კრიტიკულად ჩაერთოს სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც არსებობს თანამედროვე ჩინეთში.

თათია მემარნიშვილი

თაიშოს ეპოქის შემდგომი კულტურული და სოციალური ცვლილებები ჯუნჩირო ტანიძაკის რომანის „ნაზი თოვა“ მიხედვით

ჯუნჩირო ტანიძაკის რომანი „ნაზი თოვა“ არის ნაწარმოები, რომელიც თაიშოს ეპოქის(1912-1926) შემდგომი, 1930-40-იანი წლების იაპონიის კულტურულ და სოციალურ ცვლილებებს ნათლად ასახავს. ამ რომანით შეგვიძლია დეტალურად ვიკვლიოთ, თუ როგორ შეეჯახა ტრადიციული იაპონური ღირებულებები და წეს-ჩვეულებები მოდერნიზაციასა და დასავლურ გავლენას.

წინამდებარე კვლევის მიზანია რომანში მოცემული იმ ძირითადი ასპექტების ანალიზი, როგორცაა:

ოჯახის სტრუქტურა და ტრადიციები: მაკიოკას ოჯახი სახე-ხატია ტრადიციული იაპონური ღირებულებებისა, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მათი მხრიდან მკაცრი იერარქიული სტრუქტურისა და წეს-ჩვეულებების დაცვაში.

ქორწინება და სიყვარული: სიუჟეტი აგებულია იუკიკოსთვის შესაფერისი საქმროს პოვნაზე, სადაც კარგად ვხედავთ პაექრობას ტრადიციულ მაჰანკლობასა (omiai) და დასავლური გავლენით თანამედროვე რომანტიკული სიყვარულის ცნებებს შორის.

გენდერული როლები: რომანში ვხვდებით ქალების მიმართ იაპონური საზოგადოების მოლოდინებს.

ვესტერნიზაცია და მოდერნიზაცია: ტანიძაკი იაპონურ საზოგადოებაზე დასავლური კულტურის მზარდ გავლენას სხვადასხვა მონაკვეთებით ასახავს.

თაობათა სხვაობა: რომანში კარგად ვხედავთ, თაობათა მიერ საზოგადოების ცვლილებებთან ფეხის აწყობის განსხვავებულ მცდელობებს.

ურბანულ და რეგიონულ დინამიკას შორის განსხვავება: ტრადიციულ ოსაკასა და მოდერნიზებულ ტოკიოს შორის კონტრასტი წარმოდგენილია, როგორც მთელს იაპონიაში ფართო კულტურული ცვლილებების მეტაფორა.

დანაკარგი და ნოსტალგია: მთელს რომანს ფონად გასდევს წარმავალი ტრადიციული ცხოვრების წესის მიმართ ნოსტალგია.

საერთაშორისო ურთიერთობები: იაპონიის მზარდი მილიტარიზმი და მეორე მსოფლიო ომის მოახლოება კულტურულ ცვლილებებს კიდევ ერთ შრედ ემატება. რაც გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს გლობალური მოვლენები შინაურ გარემოზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნაზი თოვა“ XX საუკუნის დასაწყისის იაპონიის კულტურული და სოციალური ცვლილებების სარკეა. ტანიძაკი ოსტატურად იყენებს ერთი ოჯახის მიკროსამყაროს უფრო ფართო საზოგადოების ცვლილებების საჩვენებლად. ნათლად გვიხატავს ტრადიციული ფესვებიდან დასავლური საზოგადოების წყობაზე გადასვლასთან შეგუების დამაბულ პროცესს, რომელიც ზოგჯერ მტკივნეული იყო.

ჯაბა მესხიშვილი

მეორე მსოფლიო ომის დროს, იაპონიაში ატომური ბომბის სამიზნეების შერჩევა

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბრძოლო არეალი ძირითადად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველი ევროპაში მდებარეობდა, ხოლო მეორე წყნარი ოკეანის აუზში. წყნარი ოკეანის

აუზში მოკავშირეთა მოწინააღმდეგე იყო იაპონიის იმპერია, რომელმაც თავდაპირველად თავისი აგრესია აღმოსავლეთ აზიის კონტინენტზე მიმართა, ხოლო მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო იერიში, რომ აერიდებინა, თავად დაესხა მის საზღვაო-სამხედრო ბაზას ჰავაიზე, რამაც აშშ-ს მეორე მსოფლიო ომში ჩართვა გამოიწვია. იაპონიის თავდასხმა ნაწილობრივ გაამართლა, რადგან ომის საწყის ეტაპზე იაპონიამ უპირატესობა მოიპოვა, თუმცა დროთა განმავლობაში აშშ-მ მოახერხა და თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერება და 1942 წლის ივნისს, მიდვეის ბრძოლის შედეგად იაპონიის დომინაცია წყნარი ოკეანის აუზში შეწყვიტა.

ამასობაში, ევროპის კონტინენტზეც მოხერხდა გერმანიის დომინაციის დასრულება და 1945 წლის 8 მაისს, გერმანიამ უპირობო კაპიტულაცია მოახდინა მოკავშირეთა წინაშე. რჩებოდა მხოლოდ იაპონია რომელიც გააფთრებული იცავდა თავს. მეორე მსოფლიო ომის პარალელურად, აშშ საიდუმლოდ აწვითარებდა ატომური ბომბს (ე.წ. „მანჰეტენის პროექტი“), რომელსაც თავისი დამანგრეველი ძალით, დიდი ეფექტი უნდა მოეხდინა ომის მიმდინარეობაზე. ატომური ბომბის შექმნაზე დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა.

1945 წლის წლის 27 აპრილს, 17 პოტენციური სამიზნე ქალაქი შეირჩა, მათ შორის იყო ჰიროშიმა, კობე, ოსაკა, კიოტო და ა.შ., თუმცა აღსანიშნავია რომ არ მოიაზრებოდა ქალაქი ნაგასაკი. მას შემდეგ კიდევ 3-ჯერ გადაიხედა სამიზნე ქალაქები და მხოლოდ 25 ივლისს, დაემატა ნაგასაკი, როგორც სათადარიგო ვარიანტი. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, აშშ-მ იაპონიის ქალაქებში ჰიროშიმასა და ნაგასაკიში კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩამოაგდო ატომური ბომბები, რომელმაც დაახლოებით 200 000 ადამიანის სიცოცხლე მყისიერად შეიწირა, ხოლო მრავალი ათასი ადამიანი რადიაციისა და აფეთქების შედეგად დაზიანდა (ნაწილი მოგვიანებით გარდაიცვალა).

კონფერენციაზე ვისაუბრებთ, ატომური ბომბის შექმნის ისტორიასა და სამიზნეების შერჩევის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ა-ბომბი და რა ფაქტორებმა იქონია გავლენა, პოტენციური სამიზნეების შერჩევაში.

ელენე მეძმარიაშვილი

თაივანის საკითხი აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში

მოხსენებაში თაივანის საკითხს აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში მე-20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე განვიხილავ შეერთებული შტატების სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იმ დროს მიმდინარე დებატების მასალების საფუძველზე. ეს დებატები „ჩინურ საფრთხეზე“ რომელიც

საფრთხეს უქმნის შტატების ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას რეგიონში, აქტუალურია დღემდე. ვცდილობ პასუხი გავცე კითხვას, თუ რა გავლენას ახდენდა თაივანის საკითხი ურთიერთობაზე ორ ქვეყანას შორის მითითებულ პერიოდში და რატომ არ დაკარგა მან აქტუალობა დღემდე.

მოხსენებაში ხაზგასმულია, თუ რა იყო შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის დამაბვის მიზეზები, დაწყებული ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან და, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში. ეს მიზეზები იყო: საბჭოთა საფრთხის მოსპობა; შტატებში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების საკითხის მიზმი მცდელობა ადამიანის უფლებებთან ქვეყანაში; 1989 წელს პეკინში სტუდენტური დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ემბარგოს დაწესება ჩინეთთან იარაღით ვაჭრობაზე; და ამის პარალელურად თაივანთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, რაც შეერთებული შტატების ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქმებოდა.

ამავე პერიოდში ეკონომიკურად გამლიერებულმა ჩსრ-მ თავისი ინტერესების დაცვას მეტი ყურადღება დაუთმო, განსაკუთრებით, თაივანის საკითხში; დაამყარა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა რუსეთთან, რაც ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

მოხსენებაში, ჩინეთის პოტენციალის შეფასებისას, ვყოფ აშშ-ს აკადემიური წრეების მიდგომებს „ხისტად“ და „რბილად“ პირველი მიდგომის მომხრეები „ჩინურ საფრთხეს“ რეალურად მიიჩნევენ, მეორენი კი ჩინეთში მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობას აკნინებენ.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ როგორც მეცნიერები, ასევე პოლიტიკოსები აშშ-ჩინეთის ურთიერთობის მთავარ პრობლემად სწორედ თაივანის საკითხს თვლიან. ვეთანხმები იმ აკადემიურ წრეებს, ვისაც მიაჩნია, რომ პრობლემა თვით ჩინეთმა და თაივანმა, გარედან ჩარევის გარეშე, უნდა გადაწყვიტონ. კონფლიქტის არიდების მიზნით, აშშ-ს ადმინისტრაცია ატარებს ე.წ. ორმაგი შეკავების პოლიტიკას. რაც ნიშნავს იმას, რომ ახსენებს ჩინეთს, რომ თაივანის საკითხი მშვიდობიანად უნდა მოაგვაროს, ხოლო პარალელურად თაივანის სეპარატისტული განწყობის შეკავებას ცდილობს. დღესაც თაივანი აშშ-ჩინეთის ურთიერთობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება.

მარკა მშვილდაძე

ანტიკური წყაროები რომის იმპერიასა და ინდოეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ

ისტორიული წყაროების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ პერიოდის ისტორიის შესწავლისა და სწორი ანალიზისთვის. გამონაკლისს არც ის ანტიკური პერიოდის წყაროები წარმოადგენს, რომლებშიც დაცულია ცნობები ძველი ინდოეთის შესახებ. რომის იმპერიასა და ინდოეთს შორის არსებული ურთიერთობები გვხვდება: პლინიუს უფროსთან (ლათ. Gaius Plinius Secundus, ახ.წ. I ს.), კლავდიუს პტოლემეოსთან (ძვ. ბერძნ. Κλαύδιος Πτολεμαῖος, 100-170 წწ.), კურციუს რუფუსთან (ლათ. Quintus Curtius Rufus, ახ.წ. I ს.), პომპეუს ტროგუსთან (ლათ. Gnaeus Pompeius Trogus, ახ.წ. I ს.). „ერიტრიის ზღვის პერიპლუსის“ (ძვ. ბერძნ. Περίπλους τῆς Ἐρυθρᾶς θαλάσσης, ლათ. Periplus maris Erythraei) სახელით ცნობილ დოკუმენტში (ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი) მოხსენიებულია ერიტრიის ზღვაზე (თან. არაბეთის ზღვა) არსებული არამარტო რომაული, არამედ ინდური პორტებიც. გეოგრაფიული ცნობების შეჯამების მცდელობა მოცემულია პონპონიუს მელასა (ლათ. Pomponius Mela, 15-60 წწ.) და პლინიუს უფროსის მიერ. აპოკრიფულ სახარებებში და მალაბარის ეკლესიის საღვთისმეტყველები წიგნებში საუბარია თომა მოციქულის შესახებ, რომელმაც ახალი რელიგიური მოძღვრება შეიტანა ინდოეთში...

ანტიკური წყაროების შესწავლის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ზოგი უზუსტობები, რომელიც მათგან საკმაოდ შორს მდებარე ქვეყანას ეხება. მაგალითად, იგივე ტოპონიმებთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ არქეოლოგიური კვლევის შედეგად, წყაროებში მოცემული ტოპონიმების არც თუ დიდი რაოდენობაა იდენტიფიცირებული. წყაროებში დაცულ ცნობებს რომსა და ინდოეთს შორის არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობაზე არაერთი არტეფაქტი ამაგრებს, რომელთა კვლევის შედეგად დგინდება, რომ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის არსებობდა ახ.წ. I-II საუკუნეებში - ოქტავიანე ავგუსტუსის იმპერატორობისა და ანტონინუსების დინასტიის მმართველობის პერიოდში.

არქეოლოგების მიერ ინდოსტანის ნახევარკუნძულის დასავლეთით აღნიშნული პერიოდის არაერთი რომაული არტეფაქტია აღმოჩენილი. ინდოეთიდან რომში მეწამული (წითელი) და ხმელთაშუა ზღვის გავლით შედიოდა აბრეშუმში, ფუფუნების საგნები, ბამბა... ახ.წ. III საუკუნეში რომში დაწყებული კრიზისის გამო აღნიშნული ურთიერთობების ინტენსივობა შეჩერებულ იქნა.

რუსუდან ნიშნაიანი

ქართველი საბჭოთა პოეტის თვალთ დანახული 50-იანი წლების ჩინეთი

ალიო მირცხულავას (მაშაშვილი) 1956 წელს გამოცემულ წიგნი - „მოგზაურობა ჩინეთში“ (პოეტის დღიურები) - ამ მხატვრულ ტექსტზე გვექნება საუბარი. ის დაისტამბა გამომცემლობაში „საბჭოთა მწერალი“ და რედაქტორი გახლდათ გიორგი ნატროშვილი. წიგნი იმხანად ვფიქრობ, საკმაოდ დიდი ტირაჟით 5 000 გამოვიდა. სამოგზაურო ჟანრი დოკუმენტური პროზის მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ ყველაფერი რეალურია: დროც, ქვეყანაც და არც გამოგონილი პერსონაჟები მოქმედებენ. რაც შეეხება ე.წ. „დღიურებს“. ამ შემთხვევაში მას სხვა დატვირთვა აქვს. ზოგადად, დღიური ავტოკომუნიკაციის განსაკუთრებული ლიტერატურული მეთოდია. ხშირად სრულიადაც არაა განკუთვნილი ფართო მკითხველისათვის, მაგრამ ამჯერად, „პოეტის დღიურებს“ სხვა დატვირთვა აქვს. ეს ჟანრობრივი პარალელიზმი იოლი არაა. მკითხველისათვის ყოველი დღე გამორჩეული უნდა იყოს. რას ვგულისხმობ: ერთი ქალაქი ან ალაგი არ უნდა ჰგავდეს მეორეს, გეოგრაფიული ადგილები სწორად უნდა დაასახელოს, არ უნდა დაირღვეს მოგზაურობის თანამიმდევრობა, შთაბეჭდილებები ზუსტად დააღაგოს და რაკილა პოეტიცაა, მხატვრული საშუალებები: მეტაფორები, გამომსახველობის სხვა საშუალებები (რაც და როგორც შეუძლია) გამოიყენოს, ცოტა იუმორიც ჩართოს, რათა ტექსტი წასაკითხად უფრო მსუბუქი გახადოს. ეს მულტიფუნქციურობა ბევრ მოთხოვნას გულისხმობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ არაა ორი იდეოლოგიური სამყაროს დაპირისპირება. ეს ერთი სოციალისტური სივრცეა და ალიო მაშაშვილი ხაზგასმულად საბჭოთა პოეტი რომაა (წინა წლებში ამ ქვეყანაზე ლექსებიც აქვს დაწერილი) ცდილობს, ყველა დეტალი გაითვალისწინოს.

ისტორიული კონტექსტი, ბუნებრივია, სხვა დისტანციას აჩენს. მანჯურია, ხარბინი, ჩანჩუნი, პეკინი, შანხაი, ხანჯოუ, მდინარე იანცი, სუნ იატ სენის მავზოლეუმი და პარკი ლინ-გუ, ჩინური კედელი... შეხვედრები მწერლებთან - „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ლი ცი-ე, „რევოლუციური მოთხრობების მწერალი“ სუი ჩენ-ვენი, სხვებიც. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადლუმზე შორიდან დანახული ცენტრალურ ტრიბუნაზე მყოფი მათ მე-დუნი, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი და სხვები.

ალიო მაშაშვილის ლიტერატურული ტექსტი დროის ნიშნებს ინახავს და ორივე მხარის მკვლევარისა თუ მკითხველისათვის თუნდაც ამ თვალსაზრისით იქნება საინტერესო.

რიოსეი სუგინაკა

საქართველოში სტუდენტების მოლოდინები იაპონური ენის შესწავლის მიმართ - საპილოტე BALLI კვლევა თბილისის სამ უნივერსიტეტში

იაპონური ენის სწავლება საქართველოში ყოველწლიურად სულ უფრო ვრცელდება.

ჩავთვალე, რომ მოლოდინების კვლევა(ბალლი) , Belief Research (BALLI), სასარგებლო იქნებოდა სტუდენტების მოსაზრება და აზროვნების გასაგებად და მნიშვნელოვანი, ენის შესწავლისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად.

მოლოდინების კვლევა საქართველოში აქამდე არ განხორციელებულა. კითხვებისთვის ნიმუშად გამოვიყენე იაპონიაში და სხვა ქვეყნებში ადრე ჩატარებული კვლევა. კითხვარი შეიცავს 20 შეკითხვას 4 კატეგორიით:

1)მოტივაცია,

2)ხედვა,

3) გაკვეთილებისა და მასწავლებლის როლები და

4) იაპონური ენის შესახებ სტუდენტების მოსაზრება.

თბილისში სამი უნივერსიტეტიდან ჯამში 30-მა სტუდენტმა შეავსო ონლაინ-კითხვარი. კვლევის შეჯამება ასე გამოიყურება:

1) სტუდენტების 90%-ზე მეტი აქვს მაღალი ინსტრუმენტული და

ინტეგრაციული მოტივაცია;

2) ყველა სტუდენტი ეძებს ისეთ სამსახურს, სადაც იაპონური ენის ცოდნას გამოიყენებენ და 90%-ს სურს იაპონიაში სასწავლებლად წასვლა. თუმცა აქედან 20%-ს არ აქვს კონკრეტული გეგმა ან მიზანი ენის დონისა და კარიერის შესახებ;

3) 85%-ზე მეტს მიაჩნია, რომ გაკვეთილზე არ უნდა დააგვიანონ.

4) 90%-ზე მეტი მნიშვნელოვნად თვლის მასწავლებელსა და სტუდენტს შორის დიალოგს. ასევე ფიქრობს, რომ იაპონური ენის უნარების გასაუმჯობესებლად საჭიროა დამოუკიდებლად მეცადინეობა. ასევე სურთ, რომ მასწავლებელმა ასწავლოს დამოუკიდებლად სწავლის ხერხები.

5)დაახლოებით 80% თვლის, რომ იაპონური ენა სხვა ენებთან შედარებით რთულია სასწავლად. რესპონდენტების ნახევარი ფიქრობს, რომ ყველას შეუძლია უცხო ენის ათვისება.

უმრავლესობა არ ფიქრობს, რომ ენის ასათვისებლად აუცილებლად იაპონიაში სწავლაა საჭირო. ასევე ყველა სტუდენტი ფიქრობს, რომ ყოველდღიური მეცადინეობა მნიშვნელოვანია და უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჰირაგანა, კატაკანა და კანჯი და მათთან ერთად გრამატიკის სწავლება მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: იაპონური ენის განათლება, მოლოდინები ,ბალლი, საქართველო

მარინე ლუდუშაური

მონღოლთა იმპერია და დიდი აბრეშუმის გზა

XIII საუკუნეში მონღოლებმა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერია შექმნეს, რომელიც თავისი ძლიერების პიკზე თითქმის ადრიატიკის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე იყო გადაჭიმული. ის მოიცავდა შორეულ აღმოსავლეთს, ინდოჩინეთს, ცენტრალურ აზიას, ევრაზიის ვრცელ სტეპებს, კავკასიას, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო- აღმოსავლეთ ევროპას. მონღოლები მთლიანად აკონტროლებდნენ აბრეშუმის გზის დიდ ნაწილს. მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ისტორიკოსები ამ პერიოდს რომის იმპერიის ძლიერების ხანას ადარებენ.

XIII-XIV საუკუნეებში იწყება აბრეშუმის გზის აყვავების მე-3 ეტაპი. ამ პერიოდში ევრაზიის მასშტაბით მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სავაჭრო და რელიგიური კონკურენცია ქვეყნებს, ბაზრებსა და რელიგიურ ჯგუფებს შორის. ქრისტიანები, მუსლიმები, ბუდისტები და ინდუსები იბრძოდნენ მიმდევრებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერისთვის. მონღოლებს, ევროპულ სახელმწიფოებს, არაბთა მმართველებს, მამლუქ თურქებს, ინდუსტურ სამთავროებს და სხვათა შორის კონფლიქტებს შედეგად მოჰყვა ალიანსები, ომები და არასტაბილური სახელმწიფოები.

მიუხედავად ამ დესტაბილიზაციისა, აღნიშნული საუკუნეების მსოფლწესრიგის მთავარმა აქტორებმა, მონღოლებმა, თავისი უზარმაზარი ევრაზიული ჰეგემონიისა და სისასტიკის შერწყმის შედეგად შეძლეს საკუთარი გავლენის არეალში უზრუნველყოთ გარკვეული მშვიდობა და სტაბილურობა, ე.წ. Pax Mongolica. ისინი იყვნენ საკმაოდ პრაგმატულები და რამდენიმე სფეროში ტოლერანტულებიც, მაგალითად, ხელოვნებასა და რელიგიაში. ამის დასტურად გამოდგება მონღოლთა დედაქალაქი - ყარაყორუმი, სადაც მშვიდობიანად თანაარსებობდა 12 ბუდისტური ტაძარი, 2 მეჩეთი და ასევე ეკლესია. მათ კონტინენტის მასშტაბით განავითარეს მიმოსვლის გზათა სისტემა დასასვენებელი პუნქტებით, რომელიც

ხელს უწყობდა სავაჭრო, რელიგიურ და კულტურულ მიმოცვლას მათ მიერ კონტროლირებად უზარმაზარ ტერიტორიაზე.

მონღოლთა მმართველობის პერიოდში დაარსდა მუსლიმური ასტრონომიის კვლევის ცენტრი, სადაც ევროპელ, ჩინელ, სპარს და არაბ ასტრონომებს შეეძლოთ განევიტარებინათ ცოდნა ამ სფეროში. ასევე დაარსდა მედიცინის იმპერიული აკადემია, რომელშიც შედიოდნენ ინდოელი, მცირეაზიელი, ჩინელი მედიკოსები. აბრეშუმის გზაზე მიმოსვლის საშუალება ეძლეოდათ ევროპელ, სპარს, არაბ, სომეხ და რუს ვაჭრებს, ასევე სხვადასხვა მიმართულების მისიონერებს.

ყველა მომთაბარე საზოგადოების ისტორიაში, საქონლის ბარტერული გაცვლა და ვაჭრობა ყოველთვის იყო მომთაბარე ხალხის, მათ შორის მონღოლების, მთავარი საქმიანობა. ისინი ცხოვრობდნენ და მომთაბარეობდნენ ვაჭრობისა და მრავალფეროვანი კულტურების ცენტრში, აქედან გამომდინარე, უზარმაზარი იმპერიის შექმნის შემდეგ მათთვის პრიორიტეტული საქმიანობა ვაჭრობას უკავშირდება. კერძოდ, მონღოლთა ახალმა იმპერიამ გააერთიანა იზოლირებული ცივილიზაციები ახალ კონტინენტურ სისტემაში და აღადგინა დიდი აბრეშუმის გზა, როგორც ტრანსპორტირების დომინანტური მოდელი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი აბრეშუმის გზით ვაჭრობის მოგების მარჯა იყო ძალიან მაღალი, სავაჭრო გზების უსაფრთხოება სისტემური ერთიანობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კომერციული აქტიურობისთვის.

მონღოლებმა შეძლეს შეექმნათ ტრანსკონტინენტური ვაჭრობის ისეთი გარემო, სადაც სავაჭრო ქარავნები და მოგზაურები მიმოსვლას შეძლებდნენ ნაკლები რისკით. ასევე, მათი მმართველობის ქვეშ გაერთიანებულ ევრაზიაში არსებულ სავაჭრო ქსელში გადაადგილებისას ბევრად შემცირდა ხარკის შემგროვებელთა რაოდენობა. როდესაც გზებზე უსაფრთხოება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი არ არის, ყაჩაღობის, ან საომარი ვითარების გამო, მაშინ ვაჭრობა იწყებს ალტერნატიული გზების მოძებნას.

ჩინგის ხანის მიერ შექმნილი იმპერიის ეკონომიკური საფუძველი დიდწილად სწორედ ამ სავაჭრო გზაზე იყო დამოკიდებული და სწორედ მის ინტერესებში იყო შესაფერისი გარემო უზრუნველყოფისთვის, რომ მათ აღარ ეძებნათ ალტერნატიული გზები მონღოლეთის იმპერიის მიღმა.

შალვა ჩიხლაძე

მსოფლიო წესრიგის რეკონცეპტუალიზაცია: ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კრიტიკული ანალიზი

ნაშრომი გვთავაზობს საფუძვლიან გამოკვლევას ჩინურ საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებზე, რომლებიც ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია, კრიტიკულად ანალიზებს თეორიების ესისტომოლოგიური საფუძვლებსა და მის კონტრიბუციას გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების პრიზმაში. მრავალფეროვანი ჩინური პერსპექტივის სინთეზირებითა და მათი საერთაშორისო ურთიერთობის ფართო კონტექსტში მოქცევით კვლევა უფრო დეტალურად ავსებს იდენტურ თემატიკაზე არსებულ დანაკლისს.

კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია თვისობრივ მეტა ანალიზე რამდენიმე ჩინელი მკვლევრისა და მათი თეორიის, მათ შორისაა ჭაო თინგიანგის “თიენსიას”-სისტემა, ცინ იაცინგის რელატიონალურ თეორიასა და იენ სუეთონგის მორალურ რეალიზმს. ხსენებული სამი თეორიის პრიზმაში კვლევა ამოწმებს მათ უნივერსალურობასა და გამოკვეთს შესაძლო ხარვეზებს.

ძირითადი საკვლევი კითხვებია:

გლობალური წესრიგის კონცეპტუალიზაციის პროცესში გვთავაზობენ კი საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური თეორიები რაიმე ახალს?

ხსენებული თეორიები სად ეკვეთებიან და უპირისპირდებიან არსებულ დასავლურ პარადიგმებს.

რამდენად მნიშვნელოვანნი არიან აღნიშნული თეორიები ჩინური საგარეო პოლიტიკის აღსაქმელად ნაშრომის შუალედური დასკვნით დგინდება რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ჩინური თეორიები იძლევა ღირებულ ალტერნატიულ პერსპექტივებს, ისინი აწყდებიან მნიშვნელოვან გამოწვევებს თეორიულ ფორმულირებასა და ემპირიულ დადასტურებაში.

კვლევის მიხედვით დგინდება, რომ აღნიშნული თეორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს უფრო პლურალისტური გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისკენ, მაგრამ საჭიროებენ შემდგომ განვითარებას და ყოვლისმომცველ ემპირიულ მიმოხილვებს საერთაშორისო პროცესებზე.

ნაშრომის ღირებულება მდგომარეობს ჩინეთის IR თეორიების კრიტიკულ შეფასებაში საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური დისკურსის გამდიდრების მიზნით.

არადასავლური თეორიები საკმაოდ მზარდია აკადემიაში, შესაბამისად მათ გაანალიზებას მეტი დრო სჭირდება.

საერთაშორისო ურთიერთობების სამი ჩინური თეორიის გაანალიზება გვეხმარება და პოტენციურად გვთავაზობს ახალ ჩარჩოებს ჩინეთის საერთაშორისო ქცევის გასაანალიზებლად და გლობალურ მმართველობაში უფრო ნიუანსირებული კულტურათაშორისი დიალოგის გასაძლიერებლად.

მარინა ჯიბლაძე

ჩინური ენის სწავლების საკვანძო საკითხები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩინური ენას სწავლებას არ აქვს დიდი ხნის ისტორია, დღესდღეობით, საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც საფუძვლიანად ისწავლება, ჩვეულებრივ, წარმატებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი. დაიხვეწა სწავლების სისტემა, სწავლების მეთოდები, სასწავლო მასალა და სხვ. ჩინური ენის სისტემატური სწავლება აღიარებულია, როგორც არსებითი სტრატეგია.

მოხსენებაში, ძირითადად, შევხებით ისეთ ასპექტებს, როგორც არის ჩინური ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და იეროგლიფიკის სწავლება. ჩინურ ენაში მთავარ თავისებურებას და გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ფონეტიკა და იეროგლიფები, თუმცა სწორი მიდგომები გვეხმარება ამ სირთულეების გადალახვაში.

მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ პრობლემებს, რომლებსაც ვაწყდებით ფონეტიკის სწავლების დროს: რასთან არის დაკავშირებული ჟღერადობის სწორად ათვისების სირთულეები და რა არის საყურადღებო საფუძველის ჩაყრისას; რატომ არის საჭირო ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური შედარების შედეგად განსხვავების დადგენა, ქართველი სტუდენტისთვის ჩინური ენის ფონეტიკური თავისებურებების ცოდნა, მათთვის დამახასიათებელ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. იეროგლიფიკა ასევე არის ჩინური ენის რთული მხარე და აუცილებელია მისი შესწავლა ხარისხიანად, წერის ყველა შესაბამისი წესის გათვალისწინებით. მარცვალთა რაოდენობა თავის ტონებთან ერთად შეზღუდულია, ამიტომ იეროგლიფი თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან როლს ჩინურ ენაში.

ვისაუბრებთ, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ სტუდენტს იეროგლიფური სისტემის სწორად და ეფექტურად ათვისებაში.

რაც შეეხება გრამატიკას, მიუხედავად იმისა, რომ ჩინური ენის გრამატიკა, სხვა ენებთან შედარებით, თითქოს და ადვილია, მას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, რომელთა ცოდნა და სწორად სტუდენტამდე მიტანა აუცილებელია. გრამატიკის სწავლების დროს, რა უნდა ვიცოდეთ, რა უნდა გავითვალისწინოთ, რა სირთულეებს აწყდებიან სტუდენტები სწავლის დროს და რა არის ამ სირთულეების მოგვარების გზები. რატომ არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, ზოგიერთი სპეციფიკური გრამატიკული ერთეულის სწავლებისას, ჩინური ენის სხვადასხვა საფეხურზე მათთან მიბრუნება და რით არის ეს განპირობებული. კვლევა იძლევა საშუალებას, დავძლიოთ ჩინური ენის სწავლების გამოწვევები და გავაუმჯობესოთ სტუდენტთა შედეგები ამ სფეროში.

THESES

Davit Andguladze

